



## სამართლიანი არჩევნები

17:30 საათი, 2 ოქტომბერი, 2011

### ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ კენჭისყრის დღის 5 საათის მდგომარეობით

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამომრჩეველთა აქტივობა კენჭისყრის დღის ხუთი საათის მდგომარეობით შეადგენს 15 038 ამომრჩეველს, რაც წარმოადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 26.43 პროცენტს.

ორგანიზაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 56 907 ამომრჩეველს, ხოლო ამომრჩეველთა აქტივობა 12 საათის მდგომარეობით კი წარმოადგენდა 12.37 პროცენტს.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აკვირდება 2011 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებს თელავის #17 საარჩევნო ოლქში.

„სამართლიანი არჩევნები“ არჩევნების მონიტორინგს 40 უბნის დამკვირვებლისა და 2 მობილური ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს.

„სამართლიანი არჩევნების“ სადამკვირვებლო მისია ფინანსურად მხარდაჭერილია „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) მიერ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის  
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი  
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge